



სასწავლო კურსი „სოციალური სანარმოს ბიზნეს გეგმა“ დაგეხმარებათ გაიგოთ მეტი იმ საკითხების შესახებ, რომლებიც უნდა იქნას გააზრებული მენარმოს მიერ სანარმოს საქმიანობის დაგეგმვა - ორგანიზების დროს და აისახოს ბიზნეს-გეგმაში. კურსი შედგება ოთხი ნაწილისაგან: სოციალური სანარმოს პოზიცია ბაზარზე; მარკეტინგული კომუნიკაცია და გაყიდვები; საოპერაციო საქმიანობის მართვა; ფინანსური მართვა და ინვესტიციის ანალიზი.

ყოველ ნაწილს, რომელიც წარმოდგენილია ბიზნეს-გეგმის პირობითი ნიმუშის შესაბამისი თავებითა და ილუსტრაციული მაგალითებით, წინ უძღვის მოკლე მიმოხილვა და ახლავს სატესტო დავალება ვარჯიშისა და საკუთარი თავის შემოწმებისათვის.

ამასთან ხაზგასასმელია, რომ კურსის მონაწილე უნდა ფლობდეს ბიზნეს-ადმინისტრაციის გარკვეულ გამოცდილებას, იცნობდეს ძირითად ტერმინებს, მოდელებს, მეთოდებს, გამოთვლით საშუალებებს თუ სხვა მსგავსი, რამე თუ სასწავლო კურსი არ ისახავს მიზნად ბიზნეს-ადმინისტრაციის სწავლებას. როგორც აღინიშნა, იგი შემოიფარგლება მხოლოდ ბიზნეს-გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხებით.

კურსი შეიქმნა სოციალური ინოვაციების პლატფორმის პროგრამის ფარგლებში. პროგრამას მხარს უჭერს შვეიცარული ორგანიზაცია HEKS-EPER.